პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 286 (10062)

პარასკევი, 3 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბოლოო კომუნიკე ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირისა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ (1-ლი გვერდი).

დეკლარაცია სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისა (1-ლი და მე-2 გვერდი).

ევროპის ქვეყნების თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოო კომუნიკე

ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირისა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

1954 წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა ევროპის ქვეყნების — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

თათბირში მონაწილეობდნენ აღნიშნულ სახელმწიფოთა ქვემოთ დასახელებული წარმომადგენლები:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ვ. მ. მოლოტოვი** (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ა. ა. გრომიკო**, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. მ. პუზანოვი**, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ტ. კალჩენკო**, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **კ. ტ. მაზუროვი**, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ტ. ლაცისი**, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ა. მიურისეპი**, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ა. გედვილასი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვ. ა. ზორინი;**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ **ცირანკევიჩი** (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარიან **ნაშკოვსკი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვაცლავ **ლევიკოვსკი;**

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვილიამ **ზიროკი** (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ **დავიდი**, მშენებლობის მინისტრი ემანუელ **შლეხტა**, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოზეფ **პლოიგარი**, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იარომირ **ვოშაგლიკი;**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო **გროტეოლი** (დელეგაციის მეთაური), პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ **ულბრიხტი**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ლოტარ **ბოლცი**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო **ნუშკე**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი დოქტორი ჰანს **ლოხი**, გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიის გენერალური მდივანი ბერტოლდ **როზე**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რუდოლფ **აპელტი;**

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანდრაშ **ჰეგედიუში** (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ **ბოლდოცკი**, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ენდრე **შიკი**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ფერენც **მიუნიხი;**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კივუ **სტოიკა** (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრი სიმიონ **ბუგიჩი**, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გრიგორე **პარეტასი**, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იონ **რაბი;**

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანტონ **იუგოვი** (დელეგაციის მეთაური), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი **ტრაიკოვი**, საგარეო საქმეთა მინისტრი მინჩო **ნეიჩევი**, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კარლო **ლუკანოვი;**

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მანუშ **მუფტიუ** (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრი ბეხარ **შტეფულა**, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მინალ **პრიფტი.**

თათბირში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე როგორც მეთვალყურემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში **ჯან ვენ-ტიანმა.**

თათბირის მონაწილეებმა ყოველმხრივ განიხილეს მდგომარეობა, რომელიც ევროპაში შექმნა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა პარიზის სპარატულ შეთანხმებებს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის შესახებ.

თათბირი მიმდინარეობდა გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში და გამოავლინა სრული ერთსულოვნება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, თუ რატიფიცირებულ იქნა პარიზის შეთანხმებანი.

თათბირმა მიიღო სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი დეკლარაცია.

დეკლარაციის ხელის მოწერა

2 დეკემბერს საღამოს 6 საათზე კრემლში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივ დეკლარაციას.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — **ვ. მ. მოლოტოვმა**
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **ი. ცირანკევიჩმა**
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისაგან — **ვ. ზიროკმ**
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — **ო. გროტეოლმა**
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **ა. ჰეგედიუშმა**
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **კ. სტოიკამ**
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **ა. იუგოვმა**
ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **მ. მუფტიუმ**

დეკლარაციის ხელის მოწერას დაესწრო თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების ყველა წევრი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი **ჯან ვენ-ტიანი**, რომელმაც თათბირში მონაწილეობა მიიღო როგორც მეთვალყურემ.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს ამხანაგების **ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიკოიანის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბაროვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ნ. კოსიგინის, ვ. ა. მალიშევის, ი. თ. თევოსიანის, მ. ა. სუსლოვის,** მარშალ **ა. მ. ვასილევსკის,** მარშალ **გ. კ. ჟუკოვის** და სხვების თანადასწრებით.

დეკლარაცია

სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთვალყურის მონაწილეობით, შეიკრიბნენ თათბირზე მოსკოვში, რათა განეხილათ მდგომარეობა, რომელიც ევროპაში შეიქმნა დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს ლონდონისა და პარიზის თათბირების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ევროპის ყველა ქვეყანამ ვერ ცნო შესაძლოდ მონაწილეობა მიეღო შექმნილი მდგომარეობის განხილვაში. მასში მონაწილეობა არ მიიღეს აგრეთვე ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ინიციატორებმა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა და ინგლისმა. მათი 29 ნოემბრის პასუხი მოწმობს, რომ ისინი ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ მოახდინონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია.

23 ოქტომბერს თათბირზე პარიზში ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც ეხება დასავლეთ გერმანიას, რასაც წინ უძღოდა ცხრა ქვეყნის: ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, კანადის თათბირი ლონდონში. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას სამხედრო დაჯგუფებებში—ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და ეგრეთწოდებულ „დასავლეთ ევროპის კავშირში“, რომელსაც ახლა აკოწიწებენ.

სულ ცოტა ხნის წინათ სცადეს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა განეხორციელებინათ უბადაღებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ალმით დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გზით. ეს ცდები ჩაიფუშა, წააწყდა რა ევროპის ხალხების და, უწინარეს ყოვლისა, ფრანგი ხალხის ბუნებრივ წინააღმდეგობას. ახლა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას ცდილობენ სხვა ალმით, ამასთან ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ამ მიზნით დააჩქარონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია.

ასეთ მდგომარეობაში ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოების მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ ევროპის ყველა სახელმწიფოს ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პარიზის შეთანხმებათა განხორციელებას მოჰყვება საერთაშორისო მდგომარეობის სერიოზულად გაუარესება ევროპაში. ამ შეთანხმებათა განხორციელება არათუ შექმნის ახალ, კიდევ უფრო დიდ დაბრკოლებებს გერმანიის საკითხის გადაჭრის გზაზე, გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, ერთიანობის აღდგენის გზაზე, არამედ აგრეთვე გერმანიას ერთ ნაწილს დაუპირდაპირებს მის მეორე ნაწილს, დასავლეთ გერმანიას გადააქცევს ახალი ომის საშიშ კერად ევროპაში. იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას, ეს შეთანხმებანი ხელფეხს უხსნიან მილიტარისტებსა და რევანშისტებს დასავლეთ გერმანიაში, კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნიან რა ევროპის ხალხთა უშიშროებას.

პარიზის შეთანხმებანი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელების იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გამოვლინდა ამ ბოლო დროს. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მეცადინეობის მეოხებით გასული წლის შუა ხანებში ბოლო მეოცე კორეის ომს. წელს ჟენევაში გამართულმა თათბირმა ხელი შეუწყო რვა წლის ომის შეწყვეტას ინდოჩინეთში და მდგომარეობის ერთგვარ მოწესრიგებას ამ რაიონში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაისახა ერთგვარი წინსვლა მოლაპარაკებაში შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე. ყოველივე ეს მიღწეულ იქნა მიუხედავად ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიული წრეების პოზიციისა, რომელნიც ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება.

ამავე დროს სწორედ მაშინ, როცა გაუმჯობესდა ვითარება მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისათვის, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა მონაწილე მთელი რიგი სახელმწიფოების ხელმძღვანელმა წრეებმა აიღეს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის საშიში გზა, არ უწევენ რა ანგარიშს ამ ნაბიჯის შედეგებს.

პარიზის შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის ნახევარმილიონიანი არმიის შექმნას. დასავლეთ გერმანიის ამ შეიარაღებული ძალების რაოდენობა ერთიხუთად აღემატება იმ არმიის ოდენობას, რომელიც თავის დროზე მთელი გერმანიისათვის ნებადართული იყო ვერსალის საზავო ხელშეკრულებით, თუმცა ცნობილია, რომ გერმანიის მაშინ შექმნილი ასიათასიანი რაიხსვერი გახდა ჰიტლერელთა მრავალმილიონიანი არმიის შექმნის ბაზა.

გერმანელი მილიტარისტები უკვე ახლა არ მალავენ, რომ მათ ვარაუდში შედის დასავლეთ გერმანიის არმიის შემდგომი გაძლა. და მისი გადიდება 12-დან 30, ხოლო შემდეგ 60 დივიზიამდე. დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნა სინამდვილეში მოასწავებს მის უპირატესობას „დასავლეთ ევროპის კავშირის“ სხვა მონაწილეთა არმიებთან შედარებით, რასაც გარდუვალად მოჰყვება ის, რომ შეიარაღებული ძალები, რომლებიც დასავლეთ გერმანიის მილიტარისტთა ხელში აღმოჩნდებიან, გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებენ დასავლეთ ევროპაში.

დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნასთან დაკავშირებული საფრთხე უკვე იქიდან ჩანს, რომ მის სათავეში დგებიან ყოფილი ჰიტლერული არმიის გენერალიტეტის წარმომადგენელნი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იყვნენ ორგანიზატორები და თანამონაწილენი ფაშისტური აგრესიისა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპის ხალხების წინააღმდეგ.

წინააღმდეგ საერთაშორისო შეთანხმებებისა გერმანიის სამხედრო პოტენციალის ლიკვიდაციის შესახებ, აშკარად აღადგენენ სამხედრო მრეწველობას დასავლეთ გერმანიაში. რურის მძიმე მრეწველობა სულ უფრო გადადის შეიარაღების წარმოებაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე ეხება სწორედ იმ რურს, რომელიც არაერთხელ ყოფილა მთავარი არსენალი, სადაც იქედებოდა იარაღი გერმანელი მილიტარისტების აგრესიული ომებისათვის.

გარდა ამისა, პარიზის შეთანხმებები გზას უხსნიან ატომურ გამოკვლევათა მოწყობას, რომლებიც შესაძლებელს ხდიან დასავლეთ გერმანიაში ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებას, გზას უხსნიან აგრეთვე იმას, რომ დასავლეთი გერმანია ატომური იარაღით მოამარაგონ სხვა სახელმწიფოებმა. ამ შეთანხმებათა შესაბამისად დასავლეთ გერმანიის არმიას შესაძლებლობა ეძლევა თავის შეიარაღებაში იქონიოს ატომური იარაღი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ატომური იარაღი ხელში ჩაუვარდება იმათ, ვინც სულ ამ ცოტა ხნის წინათ, ნერგავდა რა სისხლიან ჰიტლერულ „ახალ წესრიგს“, სიკვდილსა და ნგრევას თესავდა ევროპაში, მიზზად ისახავდა მთელი ხალხების მოსპობას; სწორედ მათ დაღუპეს სიკვდილის ბანაკებში მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქე — პოლონელები, რუსები, ებრაელები, უკრაინელები, ბელორუსები, ფრანგები, სერბიელები, ჩეხები, სლოვაკები, ბელგიელები, ნორვეგიელები და სხვები.

ეს იმას ნიშნავს, რომ ატომური იარაღი ხელში ექნებათ იმ ადამიანებს, რომელნიც უკვე ამჟამად აცხადებენ, თუ რა რევანშისტული გეგმები აქვთ მათ ევროპაში. ამ შეთანხმებათა განხორციელება დიდად გააძლიერებს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხეს მისი მძიმე შედეგებით ხალხებისათვის, განსაკუთრებით ევროპის ყველაზე დასახლებულ რაიონებში.

იმის ვარაუდი, რომ დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირში რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანა შესაძლებელს გახდის, რომ გერმანიის მილიტარიზმის ზრდა შეაჩერონ რაღაც შეზღუდულ ჩარჩოებში, ევროპის ხალხთა კანონიერ უნდობლობას იწვევს. ასეთი ცდები უკვე იყო წინათ. მაგრამ ეს ცდები ჩაიფუშა. არ შეიძლება უზრუნველვყოთ მშვიდობა ევროპაში, თუ გზას გავუხსნით გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას და თავს დავიმშვიდებთ მის წინააღმდეგ რაღაც გარანტიების მოგონებით, რომელთა არაეფექტიანობა სავსებით აშკარაა. ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა, რომ შეუძლებელი გახდეს თვით გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია იმას ნიშნავს, რომ მილიტარისტული და რევანშისტული ძალების როლი და გავლენა იქ სულ უფრო გაძლიერდება. ასეთი მდგომარეობის გარდუვალი შედეგი იქნება დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიულ თავისუფლებათა შემდგომი შეკვეცა და მისი გადაქცევა მილიტარისტულ სახელმწიფოდ. დამახასიათებელია, რომ პარიზის შეთანხმებებში ადგილი არ აღმოჩნდა დებულებებისათვის დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებათა უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ ეს შეთანხმებანი შეიცავენ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა ვალდებულებებს მიიღონ კანონები „საგანგებო მდგომარეობის“ შესახებ, რაც აშკარად მიმართულია მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ.

პარიზის შეთანხმებანი, აღადგენენ რა გერმანიის მილიტარიზმს და ანიჭებენ რა მილიტარისტებს ფაქტიურ ხელისუფლებასა და საგანგებო უფლებებს, გზას უხსნიან იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში დამყარდეს სამხედრო დიქტატურა. ეს შეთანხმებანი არა მარტო უცხოა გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე პირდაპირ მიმართულია გერმანელი მუშათა კლასის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიული ძალების ჩახშობას. პიროზები, რომლებსაც დასავლეთ გერმანიისათვის პარიზის შეთანხმებანი ითვალისწინებენ, ზევრი რამით მოგვაგონებენ იმ მდგომარეობას, რომელიც გერმანიაში იყო ცოტა ხნით ადრე მანამდე, სანამ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებოდნენ ჰიტლერელები. ცნობილია, რომ „საგანგებო მდგომარეობის“ შემოღების უფლებები, რომლებიც გერმანიის მაშინდელ პრეზიდენტ ჰინდენბურგს ჰქონდა, გერმანელმა მილიტარისტებმა იმისათვის გამოიყენეს, რომ მოეხდინათ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა ლიკვიდაცია, დაერღვიათ მუშათა ორგანიზაციები, დაემყარებინათ გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა.

პარიზის შეთანხმებებში ლაპარაკია „საოკუპაციო რეჟიმის შეწყვეტაზე“ და დასავლეთ გერმანიისათვის ეგრეთწოდებული „სუვერენიტეტის“ მინიჭებაზე. მაგრამ სინამდვილეში დასავლეთ გერმანიის „სუვერენიტეტი“, რაზეც ლაპარაკია პარიზის შეთანხმებებში, იმით ამოიწურება, რომ დასავლეთგერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს ენიჭებათ უფლება შექმნან არმია, რომელიც პარიზის შეთანხმებათა ინიციატორებს სურთ გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად თავიანთი მიზნებისათვის. ამასთანავე პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიას თავს ახვევენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებმა განაგრძონ მისი ტერიტორიის ოკუპაცია 1998 წლამდე და ითვალისწინებენ, ამრიგად, რომ დასავლეთი გერმანია გადაიქცეს ძირითად სამხედრო პლაცდარმად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ევროპაში. ასეთ პირობებში ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა ფასი აქვს განცხადებებს დასავლეთ გერმანიის ეგრეთწოდებული „სუვერენიტეტის“ შესახებ, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პარიზის შეთანხმებანი ძალაში ტოვებენ კაბალური ხელშეკრულების ყველა ძირითად დებულებას.

პარიზის შეთანხმებანი, იმ განცხადებათა მიუხედავად, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწენი აკეთებენ, შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ როგორც ფაქტიური უარი გერმანიის პრობლემის მოწესრიგებაზე, როგორც დიდი ხნით უარისთქმა იმაზე, რომ გერმანიის ერთიანობა აღდგენილ იქნას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და საბჭედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის გეგმები ახლა ძირითადი დაბრკოლებაა გერმანიის ერთიანობის გაერთიანების გზაზე. ეს ნიშნავს, რომ ასეთი დაბრკოლების მოსპობა შექმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ მიღწეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება გერმანიის ერთიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ და ამისათვის სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ, ისე რომ ამასთან სათანადოდ იქნას გათვალისწინებული გერმანელი ხალხის ინტერესები.

დასავლეთ გერმანიის ნახევარმილიონიანი არმიის შექმნისა და მის შეიარაღებას ბონელ პოლიტიკოსთა ვარაუდით დასჭირდება დაახლოებით ასი მილიარდი მარკა, რაც მთელი თავისი სიმძიმით დააწვება დასავლეთ გერმანიის მშრომელებს და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასს, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს მათი ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითება. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია მოგებას უქადის დასავლეთ გერმანიის მხოლოდ დიდ მონოპოლიებს და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის უდიდეს მონოპოლიებს, რომელნიც უკვე ახლა წინასწარ ტაშებიან იმით, რომ დიდ მოგებას მიიღებენ დასავლეთ ევროპის არმიისათვის იარაღის მიწოდებით, არმიისა, რომელიც ახლა იქმნება. იარაღის ამ ვაჭრებს უკვე არაერთხელ მოუთბიათ ხელი ომით, რომელსაც ევროპის ხალხებისათვის მხოლოდ აუოიცხელი მსხვერპლის გაღება და უზედუორება მოჰქონდა.

ამჟამად მეორდება ის, რაც იყო მეორე მსოფლიო ომამდე, როცა გერმანიის კონცერნები სჭედავდნენ იარაღს ჰიტლერული აგრესიისათვის უცხოეთის და, განსაკუთრებით, ამერიკის მონოპოლიების მხარდაჭერით და პირდაპირი მონაწილეობით. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში სულ უფრო იჩენს თავს იმ კაპიტალისტური მონოპოლიების გავლენა, რომლებმაც ერთ დროს ხელი შეუწყეს მეორე მსოფლიო ომის მომზადებასა და განაღებას.

პარიზის შეთანხმებანი მოწმობენ, რომ ახლაც ზოგიერთი სახელმწიფოს და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელნი წრეებს აღებული აქვთ გეზი გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებაზე და ცდილობენ თავიანთი იმპერიალისტური გეგმების განხორციელებაში დაეყრდნონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას. ამ შეთანხმებებით იქმნება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიული წრეების სამხედრო ბლოკი გერმანიის მილიტარიზმთან. ისინი წარმოადგენენ გარიგებას, რომელიც განახორციელეს გერმანელი ხალხის, ისევე როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოთა ხალხების ზურგს უკან, რომელისთვისაც, როგორც ცნობილია, ამ შეთანხმებათა მომზადების დროს არავის უკითხავს.

ასეთი აგრესიული ბლოკი არ შეიძლება ემსახურებოდეს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს. მისი შექმნა ამწვავებს მთელ ვითარებას ევროპაში, დიდად აძლიერებს ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს.

ახალი სამხედრო ბლოკის შექმნა ეწინააღმდეგება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულებას კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ და ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულებას ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ საფრანგეთი, ინგლისი და საბჭოთა კავშირი იღებენ ერთობლივ ღონისძიებებს, რათა შეუძლებელი გახადონ ახალი აგრესია გერმანიის მილიტარიზმის მხრივ. ეს ეწინააღმდეგება აგრეთვე როგორც ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოების, ისე სხვა სახელმწიფოების საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა მიზანია ევროპის ყველა სახელმწიფოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა სამხედრო დაჯგუფებებში შეუთავსებელია აგრეთვე იმ საერთაშორისო ვალდებულებებთან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების აღკვეთის შესახებ, რომლებიც პოტსდამის შეთანხმებით იკისრეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, ხოლო შემდეგ საფრანგეთმაც. შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მიერ ამ ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებათა ასეთი დარღვევა ძირს უთხრის ნდობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში და სრულიად ეწინააღმდეგება ევროპის ხალხთა უშიშროების ინტერესებს.

ამ ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნას ასაბუთებენ იმით, რომ ეს თითქოს საჭირო იყოს ბლოკის მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროებისათვის,

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისა

(დასასრული).

თუმცა სინამდვილეში ამ სახელმწიფოებს არავინ ემუქრება. ცდილობენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო დაჯგუფებებში გაამართლონ იმით, რომ თითქოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან უნდა დამყარდეს „ძალის პოზიციიდან“. ამასთან საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ასეთი პოლიტიკა ხელს შეუწყობს უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას მოლაპარაკებისა და მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის. აღნიშნული პოლიტიკის მომხრეები, რომელსაც უკვე საკმაოდ გაუტყდა სახელი, არ მალავენ, რომ მათ სურთ თავს მოახვიონ სხვა სახელმწიფოებს დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს იმპერიალისტური წრეებისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებანი. ნამდვილად ამით პოულობს თავის გამოხატულებას ხსენებული წრეების მისწრაფება დაამყარონ თავიანთი მსოფლიო ბატონობა. მაგრამ არ უნდა დავიწყონ, რით დამთავრდა მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტთა ამგვარი ცდები.

ცნობილია, რომ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფებები, მიმართული ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, წარსულშიც იყო. მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის სახით შეიქმნა აგრესიული სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც მეუღლედ მილიტარისტული იაპონია. ამ დაჯგუფების ორგანიზატორები, რომელიც ცნობილია „ანტიკომინტერნული პაქტის“ სახელწოდებით, ცდილობდნენ მისი შექმნა გაემართლებინათ „იდეოლოგიური“ მოტივებით. მაგრამ სინამდვილეში ეს აღმოჩნდა შირმა, რომლის იქით ისინი ცდილობდნენ დაემალათ ნამდვილი აგრესიული ხასიათი ამ სამხედრო ბლოკისა, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო ბატონობის მიღწევას. ცნობილია, რომ ამ სამხედრო დაჯგუფების ორგანიზატორებს მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის.

რაღაც ამგვარი მეორდება ამჟამადაც, როცა ახალ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის გამართლებას მათი ორგანიზატორები ცდილობენ სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილების განსხვავების დამოწმებით. მაგრამ მათს განცხადებებში იმდენივე სიმართლეა, რამდენიც იყო „ანტიკომინტერნული პაქტის“ შემქმნელთა განცხადებებში, რომლებმაც ეს პაქტი გამოიყენეს უკანასკნელი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღებისათვის.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფებებს, რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, რა მოტივებითაც არ უნდა ცდილობდნენ გაამართლონ მათი შექმნა, არათუ არ შეუძლიათ ემსახურონ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, არამედ, პირიქით, ეს დაჯგუფებანი სერიოზულად ართულებენ ვითარებას ევროპაში და გარდუვალად გამოიწვევენ გამალებული შეიარაღების გაძლიერებას მთელი მისი სიმაძლეთ ევროპის, და არა მარტო ევროპის, ყველა სახელმწიფოსათვის.

თუ ევროპაში აღნიშნულ სამხედრო დაჯგუფებათა მხარეზე გაძლიერდება არმიები, სამხედრო ავიაცია და შეიარაღების სხვა საშუალებანი და სა ამ ამავ აგრესიული გერმანული მილიტარიზმის აღდგენამდე, მაშინ ევროპის სხვა სახელმწიფოები აუცილებლად იძულებული იქნებიან მიიღონ ეფექტიანი ღონისძიებანი თავდაცვისათვის, თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფით დაინტერესებული ყველა სახელმწიფო უნდა ეცადოს არ დაუშვას გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა, თავიდან აიცილოს გამალებული შეიარაღების გაძლიერების შესაძლებლობა და ხელი შეუწყოს იმას, რომ ევროპის ყველა სახელმწიფომ გააერთიანოს ღონისძიებანი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

აღიარებენ რა, რომ გერმანიის საკითხის მოწესრიგება მთავარი ამოცანაა ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ გერმანიის საკითხის გადასაწყვეტად უწინარეს ყოვლისა საჭიროა:

უარისთქმა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის გეგმებზე, რაც მოსპობს მთავარ დაბრკოლებას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე გერმანიის გაერთიანების გზაზე;

შეთანხმების მიღწევა იმის შესახებ, რომ 1955 წელს მოეწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები და ამ საფუძველზე შეიქმნას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის სრულიად გერმანიის მთავრობა.

მაშინ, ბოლოს, შესაძლებელი გახდება საზავო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან, რაც საჭიროა ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა, როგორც ეს საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, ბევრად შეუწყობდა ხელს გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას და გერმანიის ერთიანობის აღდგენის ამოცანის გადაჭრას.

ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს, რომ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა მიაღწიონ შეთანხმებას გერმანიის გაერთიანების საკითხში, როგორც ეს შეესაბამება ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის და თვითონ გერმანელი ხალხის ინტერესებს. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის გეზი, რომელსაც დაადგნენ ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და ინგლისი, გამორიცხავს ასეთი შეთანხმების შესაძლებლობას. ეს გეზი არათუ ხელს არ უწყობს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის თვალში იმ პოლიტიკის გამომხატველია, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებას.

ნამდვილი უშიშროება ევროპაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას ევროპის სახელმწიფოთა ერთი ნაწილის კარდახშული სამხედრო დაჯგუფებანი ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, შეიქმნება ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა. უშიშროების ასეთი სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, შესაძლებელს გახდიდა, რომ გაერთიანდეს ევროპის სახელმწიფოთა ღონისძიებანი ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. რა თქმა უნდა, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას გერმანელი ხალხის თანასწორუფლებიანი მონაწილეობა სრულიად ევროპის ამ ამოცანის გადაწყვეტაში. კოლექტიური უშიშროების ასეთ სისტემაში შეიძლებოდა მონაწილეობა მიეღოთ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა გერმანიის საკითხის მოწესრიგებისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ამ სისტემის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება, რომ ყოველი დავა, რომელიც კი შეიძლება წამოიჭრას მათ შორის, გადაჭრან გაერთიანებული ერების წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, ისე რომ საფრთხე არ შეუქმნან ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას. ამ სისტემამ უნდა გათვალისწინოს კონსულტაცია ყოველთვის, როცა, სისტემის მონაწილე ყოველი სახელმწიფოს აზრით, წარმოიშობა ევროპაში შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე, იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას ეფექტიანი ღონისძიებანი ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ეფექტიანი რომ იყოს, ამისათვის ეს სისტემა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ევროპაში ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე თავდასხმა მიჩნეულ იქნება როგორც შესაბამისი სრულიად ევროპის ხელშეკრულების ყველა მონაწილეზე თავდასხმა და ყოველი მისი მონაწილე დახმარებას გაუწევს სახელმწიფოს, რომელსაც თავს დაესხმიან, მისთვის ხელმისაწვდომი მთელი საშუალებებით, მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენებით, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების აღსადგენად და დასაცავად.

ასეთი სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა სავსებით დაკმაყოფილებს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მოთხოვნებს დიდი და პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, აგრეთვე მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად. ასეთი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ბევრად გააადვილებდა გერმანიის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობასაც, რამდენადაც იგი გამორიცხავს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ სახელმწიფოდ გადაქცევას და ქმნის პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

კოლექტიური უშიშროების მოწყობა ევროპაში და გერმანიის გაერთიანება მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე ის გზაა, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის, როგორც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს, განვითარებას. მილიტარისტული გზისაგან განსხვავებით, რომელსაც მიჰყვებოდა გერმანიის განვითარება წარსულში და რომელსაც არაერთხელ მოჰყვა უაღრესად მძიმე შედეგები გერმანელი ერისათვის, გერმანიის გაერთიანება ევროპაში კოლექტიური უშიშროების დამყარების პირობებში ფართო შესაძლებლობას შექმნის გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის, მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და აზიის ქვეყნებთან ფართო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის, ქვეყნებთან, რომლებსაც უდიდესი მოსახლეობა ჰყავთ და დაუშრეტელი რესურსები აქვთ. მშვიდობის პირობებში გერმანიის განვითარება, როცა მას განვითარებული ეკონომიური ურთიერთობა აქვს სხვა სახელმწიფოებთან, ფართო ბაზრებს შეუქმნის გერმანიის მრეწველობას, უზრუნველყოფს მისი მოსახლეობის დასაქმებას, ხელს შეუწყობს მისი ცხოვრების დონის ამაღლებას.

გერმანიის, როგორც დიდი სახელმწიფოს, ბედი, ამრიგად, მჭიდროდ დაკავშირებულია იმასთან, დაადგება იგი მშვიდობიანი განვითარების და ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გზას, თუ დაადგება ახალი ომის მომზადების გზას. მშვიდობიანი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზას, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ადგას, მივყავართ გერმანიის აღორძინებისა და მისი აყვავებისაკენ. მეორე გზას, რომლითაც გერმანელი მილიტარისტები ისწრაფვიან წაიყვანონ დასავლეთი გერმანია, მივყავართ ახალი ომისაკენ და, მაშასადამე, იმისაკენ, რომ იგი გადაიქცეს ცეცხლისა და განადგურების ზონად.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ გერმანელი ხალხის ნამდვილი ეროვნული ინტერესები განუყოფელია მშვიდობისა და ევროპაში ეფექტიანი კოლექტიური უშიშროების სისტემის დამყარების ინტერესებისაგან.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები სავსებით უერთდებიან იმ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ პროექტში, რაც სსრ კავშირის მთავრობამ წარადგინა, და მოუწოდებენ ევროპის ყველა სახელმწიფოს ერთობლივად განიხილონ აღნიშნული წინადადებანი, რომლებიც შეესაბამებიან ევროპის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. ისინი გამოთქვამენ აგრეთვე მზადყოფნას განიხილონ ყოველი სხვა წინადადებაც ამ საკითხზე, რათა შეიმუშაონ ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ისეთი პროექტი, რომელიც მისაღები იქნება ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსათვის.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები ღრმად დარწმუნებული არიან, რომ ევროპის უშიშროება, დამყარებული ზემოაღნიშნულ პრინციპებზე და განმტკიცებული ევროპის სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობით, საშუალებას მოგვცემს ბოლო მოვუღოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ევროპა პერიოდულად განიცდის გამანადგურებელ ომებს აურაცხელი მსხვერპლით ევროპის ხალხებისათვის.

უახლოეს დროში დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს პარლამენტებში განხილულ იქნება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხი. ზოგიერთი სახელმწიფოს ოფიციალური წრეები სულ უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენენ პარლამენტებსა და საზოგადოებრივ წრეებზე, რათა თავს მოახვიონ ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ევროპის ყველა სახელმწიფოს, და განსაკუთრებით პარიზის შეთანხმებათა მონაწილე სახელმწიფოების ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია იქნება მშვიდობის შენარჩუნების წინააღმდეგ და ევროპაში ახალი ომის მომზადებისაკენ მიმართული აქტი. ასეთი რატიფიკაცია დიდად გაართულებს მთელ მდგომარეობას ევროპაში და ძირს გამოუთხრის ევროპის გადაუჭრელი პრობლემებისა და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის პრობლემის მოწესრიგების შესაძლებლობას.

ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია და განხორციელება, გააძლიერებს რა ომის საშიშროებას, საფრთხეს შეუქმნის ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და განსაკუთრებით გერმანიის მეზობელი სახელმწიფოების ეროვნულ უშიშროებას.

ეს საფრთხე იქმნება იმის შედეგად, რომ პარიზის შეთანხმებათა მონაწილე სახელმწიფოები სულ უფრო აძლიერებენ თავიანთ სამხედრო და ეკონომიურ ღონისძიებებს ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ახლა ისინი იქამდე მივიდნენ, რომ სამხედრო ბლოკი დადეს გერმანიის მილიტარიზმთან, იწყებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის განხორციელებას თავისი ხელით, ემუქრებიან იმ სახელმწიფოთა შემდგომ მშვიდობიან არსებობას, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას მათს სამხედრო დაჯგუფებებში. პარიზის შეთანხმებათა მონაწილე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში ახლა შეიყვანენ დასავლეთ გერმანიის არმიას, რომელსაც ჰიტლერიული გენერლები მეთაურობენ. ასეთ პირობებში „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის შემდგომი განხორციელება პირდაპირ დაეყრდნობა აღორძინების გზაზე დამდგარ გერმანიის მილიტარიზმს, რაც დიდად აახლოებს ახალი ომის საფრთხეს ევროპაში.

შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ამ თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოების ღონისძიებათა გაერთიანების ამოცანას, რათა უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები იძულებული არიან მიიღონ გადაუდებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა აღნიშნული სამხედრო ბლოკის აგრესიულ ძალებს დაუპირისპირონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებული ძლიერება თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ განახორციელონ, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში, ერთობლივი ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და მათი სარდლობის ორგანიზაციის დარგში, ისევე როგორც სხვა ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია მათი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის იმ მიზნით, რომ დაიცვან მათი ხალხების მშვიდობიანი შრომა, უზრუნველყონ მათი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობა, უზრუნველყონ შესაძლო აგრესიისაგან დაცვა.

ყველა ეს ღონისძიება შეესაბამება სახელმწიფოთა თავდაცვის განუყოფელ უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და წინათ დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ევროპაში ახალი აგრესიის თავიდან აცილებას.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ კვლავ განიხილონ მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ მოხდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, რათა მიიღონ ჯეროვანი ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად და ევროპაში მშვიდობის დაცვის ინტერესებისათვის.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც მოითხოვონ ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, დარწმუნებული არიან რა, რომ მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებებით შეიძლება შეიქმნას ევროპის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის საფუძველი. ამ მიზნით ისინი მზად არიან კვლავაც ითანამშრომლონ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ იარონ ამ გზით.

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მათი პოლიტიკა, რომლის მიზანია მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცება, აგრეთვე ამ თათბირის მიერ დასახული ღონისძიებანი შეესაბამებიან ჩვენი ხალხების ინტერესებს, ისევე როგორც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან. მათი ღონისძიებანი მიმართულია იმისაკენ, რომ განახორციელონ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება და ამასთან უზრუნველყონ დიად სოციალისტურ მონაპოვართა მტკიცედ დაცვა. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი და ხელი შეუშალოს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყნებში.

ჩვენი სახელმწიფოების ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ პარიზის შეთანხმებებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ახალი ომის საფრთხე. მაგრამ ისინი არ დაუშვებენ იმას, რომ მოვლენათა განვითარებამ მოუმზადებელს მოუსწროს მათ.

ჩვენს ხალხებს სწამთ თავიანთი ძალები, აქვთ თავიანთი დაუშრეტელი რესურსების იმედი. მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასე ძლიერი და ასე მჭიდროდ დარაზმული, როგორც ახლაა. ყოველგვარ ცდას თავს დაგვესხან, გააჩაღონ ომი და დაარღვიონ ჩვენი ხალხების მშვიდობიანი ცხოვრება გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთ. და მაშინ ჩვენი ხალხები, დაეყრდნობიან რა სხვა ხალხთა თანაგრძნობასა და მხარდაჭერას, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მოსპონ აგრესიის ძალები და რომ გაიმარჯვოს ჩვენმა სწორმა, სამართლიანმა საქმემ.

ჩვენს ხალხებს სურთ მშვიდობით იცხოვრონ და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ ყველა სხვა ხალხთან. სწორედ ამიტომ, კვლავ ყოველი ღონისძიებით დაიცავენ რა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესებს, ისინი გააკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა, რათა უზრუნველყონ თავიანთი განვითარების შემდგომი მშვიდობიანი გზა და თავიანთი სახელმწიფოების ჯეროვანი უშიშროება.

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

1 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა მშენებელთა, არქიტექტორთა და საშენი მასალების მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი,** რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად საშენი მასალების, დეტალების, კონსტრუქციების მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს ამხ. **პ. ა. იუდინს.**

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ცემენტის, დიდი საკედლე ბლოკების, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის, თაბაშირისა და სხვა ნაწარმის წარმოების გაფართოების შესახებ, ამბობს მომხსენებელი, განსაზღვრავენ ძირითადი საშენი მასალების წარმოების შემდგომი ჩქარი ზრდის გზებს.

უახლოეს სამ წელიწადში საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ უნდა ააგოს და ამუშაოს 200-მდე ახალი საწარმო, უმთავრესად მშენებლობისათვის ინდუსტრიული მასალის გამოსაშვებად. მნიშვნელოვნად გაფართოვდება საკედლე ბლოკების, კრამიტის, შიფერის, მშრალი ბათქაშისა და სხვა მასალის წარმოება.

ჩამოთვლის რა ამოცანებს, რომლებიც დასახულია საშენ მასალათა მრეწველობის წინაშე, ამბ. იუდინი აღნიშნავს, რომ ამ მრეწველობას დიდი შინაარეზერვები აქვს. ცოტა როდია ისეთი საწარმოები, რომლებსაც ერთი ტიპის მოწყობილობა აქვთ და დაახლოებით თანაბარ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ პროდუქციას თანაბარი რაოდენობით როდი უშვებენ. მაგალითად, ცემენტის ქარხნები „ოქტომბერი“ (დირექტორი ამხ. ნაზაროვი) და ყარაგანდისა (დირექტორი ამხ. ვეზიროვი) აღჭურვილი არიან 150-მეტრიანი მბრუნავი ღუმელებით. მაგრამ პირველ ქარხანაში კლინკერის საშუალო თვიური გამომუშავება ერთ ღუმელზე 1954 წლის 9 თვეში შეადგენდა 16,6 ათას ტონას, მეორეში კი მხოლოდ 12,1 ათას ტონას.

დიდი რეზერვები აქვთ აზბესტ-ცემენტის მრეწველობას, აგურის ქარხნებს. აგურის გამოწვის ჩქაროსნული მეთოდი, რომელიც ცნობილმა ნოვატორმა ამხ. დუვანოვმა შეიმუშავა, მეტად ნელა ვრცელდება.

სახალხო მეურნეობას ბევრ პროდუქციას აკლებენ საწარმოები არარიტმული მუშაობის, მოწყობილობის გატეხის და ავარიის, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციული მოუწესრიგებლობის გამო.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებზე. სერიოზული ნაკლია ის გარემოება, რომ ბევრი მუშა დასაქმებულია დამხმარე საამქროებში.

ამხ. იუდინმა გააკრიტიკა გზათა სამინისტრო, რომელიც სისტემატურად ვერ ასრულებს საშენი მასალების გადაზიდვის გეგმებს.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკები, ამბობს ამხ. იუდინი, მთელ ძალასა და ცოდნას მოახმარენ იმას, რომ ღირსეულად შეასრულონ ჩვენს ქვეყანაში საშენი მასალების წარმოების შემდგომი ყოველმხრივი გადიდების ამოცანა.

სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტმა **ა. გ. მორდვინოვმა** მოხსენება გააკეთა მასობრივი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის არქიტექტურის, ტიპური დაპროექტებისა და პროექტების ეკონომიური გადაწყვეტის შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების დარგში, თქვა მომხსენებელმა, უაღრესად მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა, ქალაქების, სოფლების, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობების მშენებლობა. სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციაში. კოლოსალური მშენებლობა გაჩაღდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ადგენენ და ნერგავენ კონსტრუქციათა ახალ სისტემებსა და მშენებლობის პროგრესულ მეთოდებს.

დაახასიათა რა ბოლო ხანებში დედაქალაქის ტერიტორიის ფარგლებში დაგეგმარებისა და გაფორმების მდგომარეობა, მომხსენებელმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ამ დარგში. დაპროექტება-დაგეგმვის სამუშაოები ჩამორჩება ნამდვილ მოთხოვნილებას. ბევრ დიდ ქალაქსა და დაბაში აშენებენ ცოტასართულიან სახლებს. ხშირად ახალი შენობები გაფანტულია ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში, დასრულებულ კვარტალებად და ქუჩებად კონცენტრაციის ნაცვლად. ზოგიერთი არქიტექტორი იმის ნაცვლად, რომ პირველ რიგში გადაწყვეტოს მოხერხებულობის, ტექნიკური მიზანშეწონილებისა და ეკონომიურობის პრობლემები, გატაცებულია ესთეტიკური ამოცანების გადაწყვეტით, რომლებიც ამასთან სწორად არა აქვს გაგებული.

საბჭოთა არქიტექტორებისა და ინჟინრების ძირითადი ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ნაღალხარისხოვანი ტიპური პროექტების შექმნა. ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ ყველაზე ძლიერ დამპროექტებელ ორგანიზაციებს, კვალიფიციურ კადრებს.

ამხ. მორდვინოვმა სამართლიანად ცნო არქიტექტურის აკადემიის მუშაობა, ამ კრიტიკა. აკადემია სათავეში ვერ ჩაუდგა შენობების დაპროექტების ნაკლოვანებებისა და საბჭოთა არქიტექტორების პრაქტიკაში შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლას, ვერ გადაიქცა არქიტექტურის წამყვან მეცნიერულ ცენტრად.

შემდეგ მოხსენება დედაქალაქში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის არქიტექტურის, ტიპური დაპროექტებისა და განლაგების შესახებ, გააკეთა ქალაქ მოსკოვის მთავარმა არქიტექტორმა **ა. ვ. ვლასოვმა.**

მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით ათი წლის მანძილზე დასახულია დედაქალაქში აშენდეს ძრავალი საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა. 1961 წლისათვის ძირითადად უნდა დამთავრდეს უდიდესი მაგისტრალების, მოედნებისა და მდინარე მოსკოვის სანაპიროების რეკონსტრუქცია და განაშენიანება.

გათვალისწინებულია მასობრივი საბინაო მშენებლობა პესჩანი ქუჩების, იზმაილოვისა და ბუტირკის ხუტორის რაიონებში. საცხოვრებელი სახლების დიდი კვარტალები, რომელთა საერთო ფართობი 2 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება, აშენდება მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. ბევრი რამ, რაც გათვალისწინებულია მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით, უკვე განხორციელდა.

მშენებლობის ტემპი მოსკოვში განუხრელად ძლიერდება. თუ 1950 წელს დედაქალაქში 540 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აშენდა, მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 900 ათასი კვადრატული მეტრი. მშენებლობის ასეთი მოცულობა და ტემპი შესაძლებელი გახდა სამშენებლო ინდუსტრიის ხელახლა შეიარაღების, დიდი წარმადობის ტექნიკით მისი აღჭურვის მეოხებით.

აღნიშნა რა მიღწევები მოსკოვის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დარგში, მომხსენებელმა ილაპარაკა სერიოზულ ნაკლოვანებებზე. საბინაო მშენებლობა მეტწილად წარმოდგა არა მთავარ მაგისტრალებზე, არამედ ქალაქის მეორეხარისხოვან გაუშენებელ ტერიტორიებზე, სადაც საინჟინრო მომზადება და მოწყობა ახლად ხდებოდა.

ახალი ტერიტორიების ათვისება დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა, გზებისა და კომუნიკაციების უქონლობის გამო მშენებლობა რთულდებოდა. გაანგარიშებამ და პროექტებმა ცხადყო, რომ ეკონომიურად ნიშანშეწონილია მრავალსართულიანი სახლები ვაშენოთ იმ რაიონებში, სადაც არის კომუნიკაციები და გზები. ამასთან იქ უნდა ავიღოთ დაძველებული შენობები.

ახლა „მოსპროექტის“ ინსტიტუტში მთავრდება დედაქალაქის მაგისტრალების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება. მოსკოვი პირველად ნიიღებს ანსამბლური განაშენიანების პროექტებს, რომელიც ქალაქის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

მოხსენებაში მნიშვნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ქვეყნების თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

მოსკოვი, 1 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირის მესამე სხდომას, რომელიც დღეს ნაშუადღევის 2 საათზე გაიხსნა, თავმჯდომარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

სხდომაზე განცხადება პირველმა გააკეთა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მანუშ მუფტიუმ, რომელიც ალბანეთის დელეგაციას მეთაურობს.

თავის განცხადებაში მუფტიუ მიესალმა საბჭოთა კავშირის მთავრობის ინიციატივას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე ევროპის თათბირის მოწვევის საქმეში როგორც დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენას, რომელიც სამსახურს გაუწევს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების უშუალო ზეგავლენით ევროპის ზოგიერთმა სახელმწიფომ ლონდონსა და პარიზში დადო სეპარატული შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შესახებ. ამ შეთანხმებებს საერთო არა აქვთ რა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ინტერესებთან და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ღონისძიებებთან, რომელთა მიზანია დღემდე გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების და, პირველ რიგში, გერმანიის პრობლემის გადაჭრა.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, განაცხადა ალბანეთის დელეგაციის მეთაურმა, საფრთხეს უქმნიან ევროპის ხალხების მშვიდობასა და სიცოცხლეს. ისინი წარმოადგენენ სამხედრო აგრესიულ დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკის გამოხატულებას, ომისა და აგრესიის პოლიტიკის გამოხატულებას. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გააძლიერებდა გერმანიის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას გერმანიის ერთიანი დემოკრატიული მძვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე და, როგორც მუფტიუმ აღნიშნა, შექმნიდა აგრესიის ახალ კერას ევროპის გულში. ეს დიდ პასუხისმგებლობას დააკისრებდა ამ შეთანხმებათა მონაწილე ქვეყნებს და აიძულებდა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს მიეღოთ ახალი ღონისძიებანი ამ საფრთხისაგან თავიანთი უშიშროების დასაცავად.

ჩვენი დელეგაცია, თქვა მანუშ მუფტიუმ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით სავსებით ეთანხმება ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებას, რომელიც მოგვცა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა თავის განცხადებაში, და სოლიდარობას უცხადებს მის წინადადებებს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების და ჩვენი ქვეყნების უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების შესახებ.

ალბანეთის დელეგაცია აგრეთვე სავსებით უერთდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ცირანკევიჩის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ შიროკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გროტეოლის განცხადებებს ჩვენი ქვეყნების უშიშროებისა და ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხზე.

თუ დაამტკიცეს პარიზის შეთანხმებანი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ამ თათბირის მონაწილე ქვეყნებთან ერთად მიიღოს კონკრეტული კოლექტიური ღონისძიებანი სამხედრო დარგშიც, რათა დავიცვათ ჩვენი ხალხების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყნების საზღვრების ხელშეუხებლობა ყოველგვარი აგრესიისაგან.

შემდეგ თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს რუმინეთის დელეგაციის მეთაურის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კივუ სტოიკას განცხადება.

ხანგრძლივმა ისტორიულმა გამოცდილებამ, თქვა მან, დაარწმუნა რუმინელი ხალხი, რომ სანამ ევროპაში იარსებებს გერმანიის მილიტარიზმი, არ შეიძლება სიმშვიდე და უშიშროება იყოს რუმინელი ხალხისა და ევროპის იმ დანარჩენი ხალხებისათვის, რომლებსაც პერიოდულად ესხმოდა თავს და ძარცვავდა გერმანიის იმპერიალიზმი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკუთარი ისტორიული გამოცდილებით გამობრძმედილი რუმინელი ხალხი გამოთქვამს ნებას მთელი სიმტკიცით იბრძოლოს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და სამხედრო-აგრესიულ ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანის წინააღმდეგ.

იმ ვითარებაში, რომელიც ახლა შექმნა ევროპაში პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერის შედეგად და იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებსაც იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები გერმანელ მილიტარისტებთან ერთად ამ შეთანხმებათა უსწრაფესი რატიფიკაციისათვის, ევროპის ქვეყნების წინაშეა ორი პერსპექტივა. ერთი პერსპექტივა, — როგორც კივუ სტოიკამ განაცხადა, — პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციაა, რაც ნიშნავს საერთაშორისო დაძაბულობისა და ახალი ომის საფრთხის გარდუვალად გაძლიერებას. ეს პერსპექტივა ფაქტიურად სპობს ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნის პირობებს. საბჭოთა კავშირის წინადადებამ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ ევროპის ხალხებს გადაუშალა მეორე პერსპექტივა — მშვიდობის შენარჩუნება, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა, დღემდე გადაუწყვეტელი ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანად გადაჭრა. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული კოლექტიური უშიშროების სისტემა, რომელიც აღკვეთს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების შესაძლებლობას, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე.

კივუ სტოიკამ განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის იმ წინადადებას, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ყველა ქვეყნის, დიდი და მცირე ქვეყნების, კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

რუმინეთის მთავრობა, თქვა რუმინეთის დელეგაციის მეთაურმა, სავსებით ეთანხმება საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ ამ ეტაპზე, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები გერმანიის რევანშისტ მილიტარისტებთან ერთად შეუდგნენ სამხედრო-აგრესიული დაჯგუფების შექმნას ევრმახტის ბაზაზე, ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს აღარ შეუძლიათ დასჯერდნენ მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მათ დღემდე მიიღეს თავიანთი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ახლანდელ ვითარებაში საჭიროა არა მარტო განსაკუთრებული სიფხიზლე, არამედ პრაქტიკულ და ქმედით ღონისძიებათა ერთობლივი განხორციელებაც მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, საჭიროა, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა დარაზმონ თავიანთი ძალები და მნიშვნელოვნად განამტკიცონ ისინი, განამტკიცონ თავიანთი თავდაცვისუნარიანობა იმ შემთხვევისათვის, თუ რატიფიცირებულ იქნება პარიზის შეთანხმებანი.

რუმინეთის მთავრობა ეთანხმება იმას, რომ ეს მოითხოვს თათბირის მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიიღონ ერთობლივი ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და სარდლობის ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნება ჩვენი ხალხების მშვიდობიანი შრომის, ჩვენი ქვეყნების საზღვრების მთლიანობის და ჩვენ ქვეყნების ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე.

კივუ სტოიკამ განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის იმ წინადადებას, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ყველა ქვეყნის, დიდი და მცირე ქვეყნების, კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

რუმინეთის მთავრობა, თქვა რუმინეთის დელეგაციის მეთაურმა, სავსებით ეთანხმება საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ ამ ეტაპზე, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები გერმანიის რევანშისტ მილიტარისტებთან ერთად შეუდგნენ სამხედრო-აგრესიული დაჯგუფების შექმნას ევრმახტის ბაზაზე, ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს აღარ შეუძლიათ დასჯერდნენ მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მათ დღემდე მიიღეს თავიანთი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ახლანდელ ვითარებაში საჭიროა არა მარტო განსაკუთრებული სიფხიზლე, არამედ პრაქტიკულ და ქმედით ღონისძიებათა ერთობლივი განხორციელებაც მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, საჭიროა, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა დარაზმონ თავიანთი ძალები და მნიშვნელოვნად განამტკიცონ ისინი, განამტკიცონ თავიანთი თავდაცვისუნარიანობა იმ შემთხვევისათვის, თუ რატიფიცირებულ იქნება პარიზის შეთანხმებანი.

რუმინეთის მთავრობა ეთანხმება იმას, რომ ეს მოითხოვს თათბირის მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიიღონ ერთობლივი ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და სარდლობის ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნება ჩვენი ხალხების მშვიდობიანი შრომის, ჩვენი ქვეყნების საზღვრების მთლიანობის და ჩვენ ქვეყნების ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე.

კივუ სტოიკამ განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის იმ წინადადებას, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება, რომელიც ევროპის ქვეყნების ურთიერთობის დაძაბულობას, გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას და მნიშვნელოვნად გაადიდებს სამხედრო ტვირთს, რომელიც ევროპის ქვეყნების ხალხებს აწევს. ამერიკის აგრესიული წრეები ცდილობენ დაიმორჩილონ მთელი მსოფლიო ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის დახმარებით. მათი აგრესიული და სამხედრო გეგმები მარტო ევროპას როდი ემუქრება; ეს გეგმები ემუქრება აგრეთვე აზიას და მსოფლიოს სხვა რაიონებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეებისა და მათი ინგლისელი და ფრანგი მომხრეების ცდები — „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის დახმარებით თავს მოახვიონ თავიანთი ნება სხვა ქვეყნებს, დაემუქრონ თავდასხმით საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს და მიაღწიონ თავიანთ აგრესიულ მიზნებს — განწირულია ჩასაფუშავად. საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, თქვა მან, თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას, იმიტომ რომ მათ ესაჭიროებათ მშვიდობიანი ვითარება მშენებლობისათვის, იმიტომ რომ მშვიდობა ესაჭიროებათ ყველა ქვეყნის ხალხებს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, თითქოს ამ ქვეყნებს ეშინოდეთ იმპერიალისტთა ეგრეთწოდებული „ძალისა“. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ აგრესორებს არ ძალუძთ ძალის დახმარებით დაიმორჩილონ ქვეყნები და ხალხები, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის; საბოლოო ანგარიშით განადგურებულ იქნენ სწორედ აგრესორები, რომლებიც ქადაგებდნენ ძალის პოლიტიკას.

ინგლისისა და საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მმართველი წრეები, მისდევენ რა აგრესიისა და ომის პოლიტიკას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, და ხელს უწყობენ გერმანიის მილიტარიზაციას, ფაქტიურად იმეორებენ ძველ შეცდომას, რომელიც დაუშვეს მეორე მსოფლიო ომის წინ. ისინი, ქვას რომ იღებენ ხელში, თვითონვე მოიტეხენ ფეხს და ბოლოს და ბოლოს იგემებენ საკუთარი შეცდომების მწარე ნაყოფს.

ჯან ვენ-ტიანმა აღნიშნა, რომ მთავარი ადგილი იმ სამხედრო გეგმებში, რომლებსაც ახლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ახორციელებენ, კვლავ განკუთვნილი აქვს დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის შეიარაღებას, და თქვა:

— ჩინელი ხალხი იბრძვის აზიის მშვიდობისა და თავისი ქვეყნის უშიშროებისათვის და ამიტომ იბრძვის როგორც იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის აგრესიულმა წრეებმა შეაიარაღონ იაპონია და განახორციელონ თავიანთი აგრესიული და სამხედრო პოლიტიკა აზიაში, ისე იმის წინააღმდეგ, რომ მათ შეაიარაღონ დასავლეთი გერმანია და განახორციელონ აგრესიული და სამხედრო პოლიტიკა ევროპაში, ამიტომ მხარს უჭერს ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლას. აზიისა და ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლა ახლა ერთიანი, განუყოფელი, საერთო ბრძოლაა.

ჯან ვენ-ტიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ მშვიდობის შენარჩუნების მიზნით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევურიგდეთ ომის გამჩაღებლებს, არ შეიძლება უგულებელვყოთ ომის გაჩაღების მათი ზრახვები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წაახალისებდა აგრესორებს და ხელს შეუწყობდა მათი ზრახვების წარმატებას. ჩვენში, ჩინეთში, თქვა მან, ხშირად ამბობენ: „ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობა, მაგრამ არ გვშინია ომისა, რომელიც მიმართულია აგრესიის წინააღმდეგ“. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლობას ყველა ქვეყანასთან, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობიან თანაარსებობას. ჩვენ დაუცხრომლად ვიბრძვით მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავარიდოთ თვალი აგრესიული ძალების ინტრიგებს.

იმ საკითხებს, რომლებსაც თათბირი განიხილავს, განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ევროპის უშიშროებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვისაც. ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიიღონ თათბირში, ერთხელ კიდევ ვებს ევროპის ქვეყნების ურთიერთობის დაძაბულობას, გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას და მნიშვნელოვნად გაადიდებს სამხედრო ტვირთს, რომელიც ევროპის ქვეყნების ხალხებს აწევს. ამერიკის აგრესიული წრეები ცდილობენ დაიმორჩილონ მთელი მსოფლიო ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის დახმარებით. მათი აგრესიული და სამხედრო გეგმები მარტო ევროპას როდი ემუქრება; ეს გეგმები ემუქრება აგრეთვე აზიას და მსოფლიოს სხვა რაიონებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეებისა და მათი ინგლისელი და ფრანგი მომხრეების ცდები — „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის დახმარებით თავს მოახვიონ თავიანთი ნება სხვა ქვეყნებს, დაემუქრონ თავდასხმით საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს და მიაღწიონ თავიანთ აგრესიულ მიზნებს — განწირულია ჩასაფუშავად. საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, თქვა მან, თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას, იმიტომ რომ მათ ესაჭიროებათ მშვიდობიანი ვითარება მშენებლობისათვის, იმიტომ რომ მშვიდობა ესაჭიროებათ ყველა ქვეყნის ხალხებს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, თითქოს ამ ქვეყნებს ეშინოდეთ იმპერიალისტთა ეგრეთწოდებული „ძალისა“. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ აგრესორებს არ ძალუძთ ძალის დახმარებით დაიმორჩილონ ქვეყნები და ხალხები, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის; საბოლოო ანგარიშით განადგურებულ იქნენ სწორედ აგრესორები, რომლებიც ქადაგებდნენ ძალის პოლიტიკას.

ინგლისისა და საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მმართველი წრეები, მისდევენ რა აგრესიისა და ომის პოლიტიკას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, და ხელს უწყობენ გერმანიის მილიტარიზაციას, ფაქტიურად იმეორებენ ძველ შეცდომას, რომელიც დაუშვეს მეორე მსოფლიო ომის წინ. ისინი, ქვას რომ იღებენ ხელში, თვითონვე მოიტეხენ ფეხს და ბოლოს და ბოლოს იგემებენ საკუთარი შეცდომების მწარე ნაყოფს.

ჯან ვენ-ტიანმა აღნიშნა, რომ მთავარი ადგილი იმ სამხედრო გეგმებში, რომლებსაც ახლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ახორციელებენ, კვლავ განკუთვნილი აქვს დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის შეიარაღებას, და თქვა:

— ჩინელი ხალხი იბრძვის აზიის მშვიდობისა და თავისი ქვეყნის უშიშროებისათვის და ამიტომ იბრძვის როგორც იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის აგრესიულმა წრეებმა შეაიარაღონ იაპონია და განახორციელონ თავიანთი აგრესიული და სამხედრო პოლიტიკა აზიაში, ისე იმის წინააღმდეგ, რომ მათ შეაიარაღონ დასავლეთი გერმანია და განახორციელონ აგრესიული და სამხედრო პოლიტიკა ევროპაში, ამიტომ მხარს უჭერს ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლას. აზიისა და ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლა ახლა ერთიანი, განუყოფელი, საერთო ბრძოლაა.

ჯან ვენ-ტიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ მშვიდობის შენარჩუნების მიზნით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევურიგდეთ ომის გამჩაღებლებს, არ შეიძლება უგულებელვყოთ ომის გაჩაღების მათი ზრახვები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წაახალისებდა აგრესორებს და ხელს შეუწყობდა მათი ზრახვების წარმატებას. ჩვენში, ჩინეთში, თქვა მან, ხშირად ამბობენ: „ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობა, მაგრამ არ გვშინია ომისა, რომელიც მიმართულია აგრესიის წინააღმდეგ“. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლობას ყველა ქვეყანასთან, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობიან თანაარსებობას. ჩვენ დაუცხრომლად ვიბრძვით მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავარიდოთ თვალი აგრესიული ძალების ინტრიგებს.

იმ საკითხებს, რომლებსაც თათბირი განიხილავს, განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ევროპის უშიშროებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვისაც. ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიიღონ თათბირში, ერთხელ კიდევ

ბებისას, რომელთა მთავრობებმა უარყვეს წინადადება, რადგან აშკარად დაადგნენ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების გზას, აგრესიის მომზადების გზას.

ა. იუგოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იცავს ყველა ხალხის მშვიდობას და ურთიერთგაგებას და თანმიმდევრულად ახორციელებს სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პოლიტიკას. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის შეიტანა სხვადასხვა ფორმით კონკრეტული წინადადებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის, ერთიანი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ამ თათბირზეც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხანაგმა მოლოტოვმა გარკვევით ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის პოზიცია მშვიდობის საკითხებში.

ილაპარაკა რა დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკაზე, ა. იუგოვმა განაცხადა, რომ გზა, რომელსაც ადგას დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, პარიზის შეთანხმებათა გზა, — კარდახშული სამხედრო დაჯგუფებების შექმნის, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის და გერმანიის მეზობელი ქვეყნების უშიშროებისათვის საფრთხის შექმნის, ახალი ომის უშუალო საფრთხის შექმნის გზაა.

ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა დამსწრეთ მოაგონა, რომ სამ ათეულ წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში გერმანელი მილიტარისტები ორგზის შეეჭრნენ ბალკანეთში და რომ ბულგარელ ხალხს და ბალკანეთის სხვა ხალხებს არ შეუძლიათ გულგრილი დარჩნენ ახლა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები კვლავ აძლევენ იარაღს ხელში გერმანელ რევანშისტებს.

აღნიშნა რა, რომ ბულგარეთის მთავრობა და ბულგარელი ხალხი მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ ევროპის ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის გამარჯვებისათვის ბრძოლას, ა. იუგოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთის მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომ დაიდოს „სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ“.

იზიარებს რა თათბირზე საბჭოთა და სხვა დელეგაციების მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციას იმ სერიოზული საფრთხის შესახებ, რომელიც ევროპის მშვიდობას მოელის პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ, ჩვენი დელეგაცია, თქვა ა. იუგოვმა, აცხადებს, რომ იგი მხარს დაუჭერს ყველა ღონისძიებას, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა, კოლექტიური უშიშროების სისტემის განხორციელება.

ჩვენი დელეგაცია, განაცხადა ა. იუგოვმა, აგრეთვე სავსებით იზიარებს იმ პოზიციას, რომ შექმნილი ვითარებაში, როცა დასავლეთის აგრესიული წრეები, და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები კვლავ ადგანან ევროპის გათიშვის, სამხედრო დაჯგუფებათა შექმნისა და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გზას, რაც მიმართულია საბჭოთა კავშირის ხალხთა და ევროპის სხვა ხალხთა წინააღმდეგ, კანონიერია თავისუფლებისმოყვარე ხალხთა უფლება — განიხილონ და მიიღონ ყველა საჭირო ერთობლივი ღონისძიება, მათ შორის საჭირო სამხედრო ღონისძიებებიც, თავიანთი თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ამასთან მთელი პასუხისმგებლობა მდგომარეობისათვის, რომელიც შეიქმნება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად, და მისი შედეგებისათვის დაეკისრებათ დასავლეთის ქვეყნების აგრესიულ მმართველ წრეებს, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს.

დასასრულ ა. იუგოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთის მთავრობა კიდევ მეტ ძალღონეს მოახმარს ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის მძლავრი მშვიდობისმოყვარე ფრონტის მთელი ძალების დარაზმვის საქმეს, ფრონტისა, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

ა. იუგოვის გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 2 დეკემბერს. (საკდესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

1954 წლის 2 დეკემბრის მეოთხე სხდომის შესახებ

2 დეკემბერს გაიმართა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირის მეოთხე, საბოლოო სხდომა. თავმჯდომარეობდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაური ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციის პროექტი.

განხილვის შედეგად თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა დელეგაციების ყველა წევრმა განაცხადა, რომ იღებენ აღნიშნული დეკლარაციის ტექსტს. შეთანხმდნენ, რომ დეკლარაციას ხელს მოაწერენ 2 დეკემბერს საღამოს 6 საათზე კრემლში.

სხდომის დასასრულს განცხადება გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯან ვენ-ტიანმა.

თათბირის დახურვის წინ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სხდომის თავმჯდომარემ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ვილიამ შიროკიმ.

ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ პეკინს ჩავიდა

პეკინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პეკინს ჩამოვიდა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ. პრემიერ-მინისტრ უ ნუსა და მის თანმხლებ პირებს პეკინის აეროდრომზე შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი, პან დეხუაი, ხე ლუნი, ჩენ ი, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს წევრები, მინისტრები და დედაქალაქის საზოგადოებრივობის ბევრი წარმომადგენელი.

აეროდრომზე შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი და პეკინში აკრედიტებული სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

პეკინის აეროდრომი მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბირმის კავშირის სახელმწიფო ალმებით. შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ბირმის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

უნგრეთის აღგილობრივი საბჭოების არჩევნების საბოლოო შედეგები

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ცენტრალური საარჩევნო პრეზიდიუმის ცნობას ადგილობრივი საბჭოების 28 ნოემბრის არჩევნების შედეგებზე. ცნობაში ნათქვამია, რომ ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან — 6.595.736 კაციდან არჩევნებში მონაწილეობდა 6.423.480 კაცი, ესე იგი 97,4 პროცენტი. სამამულო სახალხო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 6.290.541 კაცმა, ესე იგი ყველა ამომრჩევლის 97,9 პროცენტმა, წინააღმდეგ — 111.295 ამომრჩეველმა. გაუქმებულად ცნობილია 21.644 ბიულეტენი.

1.523 კანდიდატიდან, რომლებიც დასახელებული იყვნენ სოფლის საბჭოებში, ორმა (ტოლნისა და ვაშის ოლქი) ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა და ისინი არ აურჩეიათ. 11.385 კანდიდატიდან, რომლებიც დასახელებული იყვნენ სამაზრო საბჭოებში და სოფლის დაქვემდებარების ქალაქთა საქალაქო საბჭოებში, არ აურჩევიათ 21 კაცი. სასოფლო საბჭოებში 88.257 დასახელებული კანდიდატიდან არ აურჩევიათ 563 კაცი.

იქ, სადაც დასახელებული კანდიდატები არ აურჩევიათ, ორი კვირის განმავლობაში, არჩევნების დებულების შესაბამისად, უნდა მოეწყოს დამატებითი არჩევნები.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების არჩევნების საბოლოო შედეგები

პრაღა, 1 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობას ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ.

სულ რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო 8.783.816 ამომრჩეველი, რომელთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 8.711.718 ამომრჩეველმა, ე. ი. 99,18 პროცენტმა. კანონიერად იქნა ცნობილი 8.677.030 ბიულეტენი, ესე იგი 99,61 პროცენტი, ხოლო გაუქმებულად — 0,39 პროცენტი.

ეროვნული კრების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 8.494.102 ამომრჩეველმა, ანუ 97,89 პროცენტმა; წინააღმდეგ — 182.928 ამომრჩეველმა, ანუ 2,11 პროცენტმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების კანონის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა ეროვნული კრების არჩეული დეპუტატები ყველა 368 საარჩევნო ოლქში.

ბონის პარლამენტში პარიზის შეთანხმებათა მომავალი განხილვის გამო

ბერლინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, ბონის ბუნდესტაგის უხუცესთა საბჭომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტების პირველი წაკითხვა დანიშნა ამა წლის 15, 16 და 17 დეკემბრისათვის. ამ საკითხის განხილვის დროს ბუნდესტაგმა უნდა განიხილოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის შეკითხვა საარის გამო და ამ ფრაქციის წინადადება, რომ ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების საკითხზე მოეწყოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე.

ადნ-ის სააგენტოს ცნობაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პარიზის შეთანხმებათა განხილვა ბონის ბუნდესრატში (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის ზედა პალატა) უნდა დაიწყოს 10 დეკემბერს.

ბუნდესრატში საარის შესახებ შეთანხმების მომავალ განხილვასთან დაკავშირებით ბონის ხელისუფლებამ მიმართეს ულორს მანვარს იმ ანგარიშით, რომ თავიდან აეცილებინათ დისკუსიები. როგორც ცნობილია, ამ მხარეებს, რომელთა ლანდტაგებმაც უკვე უარყვეს შეთანხმება საარის შესახებ, ბუნდესრატში ჰყავთ 21 წარმომადგენელი ბუნდესრატის დეპუტატთა საერთო რიცხვიდან — 38 დეპუტატიდან. ამრიგად, ახლა უკვე გამოირკვა, რომ ბუნდესრატის უმრავლესობა საარის შესახებ შეთანხმების წინააღმდეგია. გაითვალისწინეს რა ეს, ბონის ხელისუფლებმა მიაღწიეს იმას, რომ ბუნდესრატის იურიდიულ კომისიას 30 ნოემბერს მიეღო სპეციალური გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საარის საკითხზე შეთანხმების ბუნდესრატის მოწონება არ ესაჭიროება.

შეიარაღებული შეტაკება პოლიციასა და ჯარებს შორის სამხრეთ ვიეტნამში

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 30 ნოემბერს ღამით საიგონში გაფთრებული შეიარაღებული შეტაკება მოხდა პოლიციასა და ბაო დაის არმიის ჯარისკაცთა ბატალიონს შორის. აამოქმედეს ტყვიამფრქვევები და ტანკსაწინააღმდეგო იარაღი. შეტაკების შედეგად მოკლულია 4 პოლიციელი და 2 ჯარისკაცი. ათი კაცი დაჭრილია.

სააგენტო აღნიშნავს, რომ შეტაკების მიზეზია სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა შეიარაღებულ ძალებს შორის მეტოქეობა, რაც გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გენერალი ნგუენ ვან ხინი გადააყენეს ბაო დაის არმიის გენერალური შტაბის უფროსის პოსტიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე რვა ქვეყნის — არგენტინის, კოსტა-რიკის, კუბის, ეკვადორის, სალვადორის, ინდოეთის, სირიისა და იუგოსლავიის — დელეგაციებმა შეიტანეს დასავლეთ ირიანის საკითხზე რეზოლუციის ერთობლივი პროექტი. როგორც ცნობილია, საერთო დისკუსიაში ამ დელეგაციებმა პრინციპულად დაუჭირეს მხარი ინდონეზიის რეზოლუციის პროექტს. რეზოლუციის ახალი პროექტი ფაქტიურად ინდონეზიის პროექტის ვარიანტია, მაგრამ უფრო მისაღებია იმ დელეგაციებისათვის, რომლებიც ზოგიერთ პუნქტში არ ეთანხმებოდნენ ინდონეზიის პოზიციას, მაგრამ ამასთან მიემხრნენ დასავლეთ ირიანის საკითხზე ინდონეზიისა და ჰოლანდიის მოლაპარაკების განახლებას.

რვა დელეგაციის რეზოლუციის ოპერატიულ ნაწილში ნათქვამია: გენერალური ასამბლეა... „1. იმედს გამოთქვამს, რომ ინდონეზიისა და ნიდერლანდიის მთავრობები განაგრძობენ თავიანთ ღონისძიებებს მათ შორის მყარად არსებული დავის შესახებ, რათა გამონახონ გადაწყვეტა გაერთიანებული ერების წესდების პრინციპების შესაბამისად. 2. სთხოვს მხარეებს მოახსენონ პროგრესი გენერალური ასამბლეის მეათე რეგულარულ სესიას“.

ინდონეზიის რეზოლუციის პროექტის ოპერატიული ნაწილი ითვალისწინებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მინდობოდა ხელი შეეწყო აღნიშნული რეზოლუციის განხორციელებისათვის და მოიწვევინებინა გენერალური ასამბლეის შემდეგი სესიისათვის მხარეთა მოლაპარაკების მსვლელობა.

კოლუმბიის დელეგაციამ შეიტანა რვა ქვეყნის რეზოლუციის ოპერატიული ნაწილის პირველი პუნქტის შესწორება, რომელიც ფაქტიურად არარად ხდიდ მთელ რეზოლუციას.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა რეზოლუციის პროექტებისა და კოლუმბიის შესწორების განხილვა. სხდომის დასასრულს გაიმართა კენჭისყრა. კოლუმბიის შესწორება უარყოფილ იქნა 31 ხმით. შესწორებას ხმა მისცა 11 დელეგაციამ. რვა ქვეყნის რეზოლუცია მიღებულ იქნა 34 ხმით, 14 ხმის წინააღმდეგ, 10 დელეგაციამ თავი შეიკავა. ამ რეზოლუციას ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, არაბთა ყველა ქვეყნის, ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობის, ავღანეთის, ეთიოპიის, ირანისა და ყველა იმ დელეგაციამ, რომლებიც ამ რეზოლუციის თანაავტორები არიან. ამ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიმცემთა შორის არიან ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და სკანდინავიის ქვეყნების დელეგაციები. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა რვა ქვეყნის რეზოლუცია, ინდონეზიის დელეგაციამ კენჭისყრიდან მოხსნა თავისი რეზოლუციის პროექტი.

ამრიგად, მიუხედავად კოლონიური სახელმწიფოების წინააღმდეგობისა, გენერალურმა ასამბლეამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ინდონეზიასა და ჰოლანდიას მოუწოდებს ძიღონ ღონისძიებანი დასავლეთ ირიანის საკითხის გადასაჭრელად და რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდეგ სესიაზე ამ ღონისძიებათა შედეგის განხილვას.

ნიუ-იორკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა კორეის საკითხის განხილვას. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები, რათა მონაწილეობა მიიღონ დღის წესრიგის ამ პუნქტის განხილვაში. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის შემდეგი პროექტი: „აღიარებს რა, რომ საჭიროა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებაში, პირველი კომიტეტი აღგენს — მოწვეულ იქნან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად“.

რამდენადაც კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემა, თქვა ი. ა. მალიკმა, დაკავშირებულია კორეელი, აგრეთვე ჩინელი ხალხების ძირითად ინტერესებთან, მათი წარმომადგენლების მონაწილეობის მიუღებლად არ შეიძლება საერთაშორისო კორეის საკითხის ობიექტური განხილვის იმედი და, მით უმეტეს იმის იმედი, რომ მივაღწევთ შესაბამის შეთანხმებას, რომელსაც კანონიერი ძალა და პრაქტიკული აზრი ექნებოდა.

იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც შეიტანა სსბჭოთა კავშირის დელეგაციამ, გაილაშქრა შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უოდსუორტმა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ანტიკონსტიტუციური პროცესი კარლსრუეში

ბერლინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ კარლსრუეში გაიმართა დასავლეთ გერმანიის „ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს“ მეხუთე სხდომა.

სასამართლომ კვლავ უარყო დამცველთა მოთხოვნა — გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლებს მისცემოდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლებიც პროცესის მასალებშია.

გერმანიის კოთაარტიის რწმუნებულმა პროცესზე პროფესორმა კრეგერმა სასამართლოს მიმართა თხოვნით გააუქმოს ბონელ ხელისუფალთა ბრძანება გერმანიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის წევრების დაპატიმრების შესახებ, აგრეთვე სთხოვა გადადოს სასამართლო პროცესი, სანამ სასამართლო გერმანიის კომპარტიის მოთხოვნით გამოიტანდეს გადაწყვეტილებას ცენტრალური გამგეობის წევრების უკანონო სასამართლო დევნის შეწყვეტის შესახებ.

მიუხედავად ადვოკატების მოთხოვნისა — სიტყვა მიეცათ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის წევრის ვ. ფიშისათვის იმ „ბრალდების“ შესახებ განცხადებისათვის, რომლითაც ბონის მთავრობა ამ პროცესზე გამოდის, სასამართლომ ვალტერ ფიშს ნება არ მისცა სიტყვა წარმოეთქვა.

მაშინ გერმანიის კომპარტიის აკრძალვის თაობაზე ბონის მთავრობის უკანონო მოთხოვნის შესახებ სასამართლოში ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის რწმუნებულმა დოქტორმა კაულმა.

დოქტორმა კაულმა აღნიშნა, რომ ამ სასამართლო პროცესს საერთო არა აქვს რა მართლმსაჯულებასთან, არამედ ის არის ბონის ახლანდელი მთავრობის მხოლოდ პოლიტიკური აქტი, რათა მოსპოს დემოკრატიული, რომლებიც ხელს უშლიან პარიზის სამხედრო შეთანხმებათა განხორციელებას, და ამით დაიბრკოლოს გერმანიის გაერთიანება მშვიდობიანი გზით. ბონის მთავრობის წინადადება, განაცხადა დოქტორმა კაულმა, გამოცხადებულ იქნას გერმანიის კომუნისტური პარტია აკრძალულ იქნას, დაუსაბუთებელია და კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომ იგი უარყოფილ უნდა იქნას. შემდეგ მან აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იბრძვის გერმანიის ორივე ნაწილის შორის შეთანხმების მიღწევისათვის, რათა უსწრაფესად აღადგინოს გერმანიის ერთიანობა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნების შესაბამისად, და ამ ბრძოლას განაგრძობს თავისი ძალების დაუზოგავად, რათა აო დაუშვას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

ბონის მთავრობის მოთხოვნას გერმანიის კომუნისტური პარტიის სასამართლო პროცესს მოწყობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა კაულმა, არ ეთანხმება არა მარტო გერმანიის პროგრესული და საერთაშორისო საზოგადოებრიობა, არამედ „ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს“ წევრთა ნაწილიც.

შეეხო რა პროცესზე ბონის მთავრობის წარმომადგენლის ფონ ლექსის განცხადებას, რომ პოტსდამის შეთანხმებებს სავალდებულო ძალა არა აქვთ ბონის მთავრობისათვის, დოქტორმა კაულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წინადადება მიმართულია გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის ერთადერთი უფლებრივი საფუძვლის წინააღმდეგ. კაულმა აღნიშნა, რომ ბონის მთავრობა მოითხოვნა გერმანიის კომპარტიის აკრძალვის შესახებ ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებებს და ამიტომ ხელყოფაა მთელი მსოფლიოს მშვიდობის წინააღმდეგ.

სასამართლოს თავმჯდომარემ ვინტრიხმა და ბონის მთავრობის წარმომადგენელმა პროცესზე არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვა დოქტორ კაულს.

იგალიელი მშრომელების ბრძოლა დათხოვნათა წინააღმდეგ

რომი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, ტურინში გაიმართა იმ მუშებთან სოლიდარობის მასობრივი მიტინგი, რომლებმაც დაიკავეს მანქანათმშენებელი ქარხანა „ვიბერტი“, რათა ხელი შეუშალონ 250 მუშის დათხოვნას. მიტინგის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ქარხანა „ვიბერტის“ მუშათა მოთხოვნებს და მოუწოდეს მათ განაგრძონ ბრძოლა. მუშებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მიტინგში, თავს დაესხა პოლიცია.

ნეაპოლში მუშებს კვლავ უკავიათ მინის ქარხანა „რიჩარდ ჯინორი“, რათა ხელი შეუშალონ მის დახურვას. გრაველონა-ტოგეში (ნოვარის პროვინცია) საფეიქრო ფაბრიკა „ფურტენის“ მუშებმა გაფიცეს გამოაცხადეს ნიშნად პროტესტისა ადმინისტრაციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ — დაითხოვოს 353 მუშა.

„ინდონეზია არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკში“

ჯაკარტა, 2 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „სინ პომ“ გამოაქვეყნა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის სუნარიოს განცხადება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ხელშეკრულებისადმი ინდონეზიის დამოკიდებულების შესახებ. როგორც გაზეთი წერს, იმ ცდების პასუხად, რომ ზეგავლენა მოახდინონ ინდონეზიაზე, რათა იგი შევიდეს ამ ბლოკში, სუნარიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდონეზია არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკში. სუნარიომ გაანცხადა, რომ ინდონეზიის მთავრობამ უკვე ნათლად გამოთქვა თავისი თვალსაზრისი ამ საკითხზე.

ოპოზიციური ელემენტების სასამართლო დევნა ირანში

თეირანი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სობხე ემრუზი“ იუწყება, გუშინ მეორე ინსტანციის სამხედრო სასამართლომ გადასინჯა ხმ ოფიცრთა მეხუთე ჯგუფის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებათ ოპოზიციური საქმიანობა, და ხეირხს, რაზმპურს, დაკანის, ამუმსა და სოლთანის მიუსაჯა სიკვდილი, ხოლო ჯავიდს, ფაპლავანს, ოგაზს, ხომაიუნპურს, აფგანის, საგაფისა და გორგანის — სამუდამო პატიმრობა. ერთ ბრალდებულს — იასანს მიესაჯა 8 წლის განმარტოებული პატიმრობა და სპს — 3 წლის პატიმრობა.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სალამო

ხაჭართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა რაიონის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად პლეხანოვის სახელობის კლუბში მოაწყო სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რაიკომის მდივანმა გ. ცქიტიშვილმა.

მოხსენება სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შესახებ წაიკითხა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. გერასიმამ.

სიტყვებით გამოვიდნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილე გ. კაჭკაჭიშვილი, კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის თავადი კონსტრუქტორის მოადგილე ვ. ბობრო, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ნოვატორი ხარატი თ. ციმბალი, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სტახანოველი მუშა ნ. სპრინჩაკი, საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ა. ტოხატელოვი და ა. მარგულისი.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მოიყვანეს იმის მთელი რიგი მაგალითები, თუ როგორ მხარდამხარ მუშაობენ რაიონის საწარმოებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. მომძე ხალხების თანამეგობრობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს დიდი რევოლუციური წარსულის მქონე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, სადაც 25 სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მუშაობენ. აქ მოწინავე ადამიანთა შორის არიან ხარატები ლ. გავრიკოვი, ი. ჯუმბურიძე, ბ. კურ-ოღლი, მეჯოდელი კ. ილურიძე, შემდუღებელი ე. ეგიაზარიანი, მემანქანის თანაშემწე ი. მიხაილენკო და სხვები.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

შეხვედრა მწერლებთან

1 დეკემბერს საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ სალექციო დარბაზში გამართა ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი სსბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. მოხსენება თემაზე „ქართული საბჭოთა ლიტერატურა სსბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის წინ“ წაიკითხა საზოგადოების ნამდვილმა წევრმა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ელენტმა.

ყრილობის დელეგატებმა ა. ბელიაშვილმა, რ. მარგიანმა, ა. მირცხულავამ, ი. ნორეშვილმა, საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ტაბიძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. ჩიქოვანმა წაიკითხეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები.

ბრიკოჯაქის ახალი ნაწარმი

ზამთრის სეზონთან დაკავშირებით თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“ უშვებს ახალი სახის ნაწარმს — მერინოსის მატყლისაგან ნაქსოვ წინდებს, ჟაკეტებსა და ჯემპრებს, ბავშვის თბილ კოსტიუმებს და სხვ.

გადიდდა ტრიკოტაჟის თეთრეულის გამოშვება. გაფართოდა წინდის ნაწარმის ასორტიმენტი.

სურათზე: თბილისის რკინიგზის სადგურის დედათა და ბავშვთა სასადილოში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისის რკინიგზის სადგურში

ზამთრისათვის მზადება დამთავრდა თბილისის რკინიგზის სადგურში, რომელიც ყოველდღიურად ათასობით მგზავრს ესახურება. წესრიგზეა მოყვანილი მგზავრთა მოსაცდელი ოთახები, საბილეთო სალაროების დარბაზი, ბაქანზე მოწყობილია მოძრავი ბუფეტები, სადაც მგზავრებს შეუძლიათ შეიძინონ ცივი საუზმე, საკონდიტრო ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები და სხვ.

სუფთად და ფაქიზად მოწყობილია დედათა და ბავშვთა ოთახები და სასადილო. ბავშვებს მომსახურებას უწევენ გამოცდილი ექიმები და პედაგოგები. დედებს აქ შეუძლიათ მიიღონ საექიმო კონსულტაცია. აქვე მოწყობილია ცივი და ცხელი შხაპები, სამრეცხაო და სხვ. ცალკე ოთახებია ფეხმძიმე ქალებისა და ძუძუთა ბავშვებიანი დედებისათვის.

საუცხოოდ მოწყობილია სატრანზიტო მგზავრთა მოსაცდელი 20 ოთახი 77 საწოლით. მგზავრებს სპეციალურ ოთახში შეუძლიათ ითამაშონ ჭადრაკი, შაში და სხვ., ისარგებლონ სადგურის ბიბლიოთეკით.

წელს თერთმეტ თვეში დედათა და ბავშვთა ოთახმა 30.000-მდე მგზავრი — დედა და ბავშვი გაატარა, ხოლო სატრანზიტო მგზავრთა მოსაცდელმა ოთახებმა — 40.000-მდე მგზავრი.

საქალაქო ტრანსპორტი ზამთრისათვის

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ ზამთრისათვის უკვე მოამზადა საქალაქო ტრანსპორტის მთარავი შემადგენლობა. შეკეთებული და შეღებილია ტრამვაის ყველა ვაგონი და ტროლეიბუსის მანქანა, წესრიგში მოყვანილია გასათბობი აპარატურა, საქვაბეები, ჩასმულია მინები. დამთავრებულია აგრეთვე ლინდგებისა და საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტი.

ცუდ ამინდში ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობის უზრუნველსაყოფად მომარაგებულია 1.000 კუბმეტრი სილა და 2.000 კუბმეტრი წიდა. სახაზო ზეინკლების პუნქტები მომარაგებულია საზამთრო ინვენტარით.

სპორტის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სპორტსმენები ლიბანსა და ეგვიპტეში

1 დეკემბერს მოსკოვიდან ბეირუთს გაფრინდა სსბჭოთა მოჭიდავეების ნაკრები გუნდი. მის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ჩემპიონები ბ. გურევიჩი, გ. კარტოზია, ა. ტერიანი, გ. შატვორიანი, ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ი. კოტკასი და სხვები.

დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ა. ჩიკინი.

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ კლასიკურ ჭიდაობაში ლიბანის მოჭიდავეებთან ამხანაგურ შეჯიბრებაში. საბჭოთა მოჭიდავეების ნაკრები გუნდი ეწვევა აგრეთვე ეგვიპტეს, სადაც გამოვა ეგვიპტელ მოჭიდავეებთან ამხანაგურ შეჯიბრებაში. (საკდესი).

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XVI ჩემპიონატი

კრასნოდარში გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XVI ჩემპიონატი.

მე-9 ტურში ლიდერმა ლ. ვოლპერტმა პირველი დამარცხება განიცადა. მან წააგო შეხვედრა თ. სტრასდსტრუმთან. ი. გურფინკელმა მოუგო მ. ლაუბერტს, ო. იგნატიევამ — ვ. ჩუდოვას, ე. მალინოვამ — ე. გოლდბერგს. ე. ბიკლოჯა — თ. ზატულოვსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ბ. ვაისბერგს, ე. კაკაბაძეს, ო. რუბცოვასა და კ. ზვორიკინას თითო ზედმეტი პაიკი აქვთ ე. ბიკოვასთან, ვ. ტიხომიროვასთან, ო. კაცკოვასთან და ლ. რუდენკოსთან. ს. როზტარესა და ნ. ვოიციკის პარტია გადადებულია თეთრებისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

9 ტურის შემდეგ წინ არიან ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი) და ი. გურფინკელი (დონის როსტოვი), რომლებსაც შეიდ-შვიდი ქულა აქვთ.

მედიცინის მუშაკთა კადრების მოამზადება

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების თბილისის ცენტრალურ სკოლაში წელს მუშაობისაგან მოწყვეტილ და მოწყვეტით კვალიფიკაცია აიმაღლა საშუალო სამედიცინო პერსონალის 631 მუშაკმა — დეზინფექტორმა, მედიცინის დამ, ინსტრუქტორ-ბონიფიკატორმა, აკოლინატორმა და სხვ.

ამჟამად სკოლაში მეკადინეობს ეპიდემიოლოგების, კბილის ტექნიკოსების, სამკურნალო ფიზკულტურის სამედიცინო დების, რენტგენოლაბორანტების და სხვ. რამდენიმე ჯგუფი სულ 200 სამედიცინო მუშაკი.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 4 და 5 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბე; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში: მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 0,5 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქუჩა № 10)

14/XII-1954 წ. დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

გაბრიელ იოსების-ძე რატიშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Развитие коленного сустава у человека после рождения“.

21/XII-1954 წ. დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ფაიზულა მიხეილის-ძე კოტრიძე

თემაზე: „მასალები ზოგიერთ კლინიკურ გამოვლინებათა დინამიკის შესწავლისათვის შიზოფრენიის ინსულინოთერაპიის დროს“.

ამირან ვლადიმერის-ძე კაკაბაძე

თემაზე: „შიზოფრენიის თერაპიული რემისიის ასთენიური ტიპი სასამართლო ფსიქიატრიულ კლინიკაში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქუჩა № 2).

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ბ ო შ ა თ ა

საცირკო ჯგუფი

„ჟურაბის დღესასწაულზე“

სამხატვრო ხელმძღვანელი

ი. დ. ბრესლერი

და

დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

კვირას, 5 დეკემბერს, 2 საბავშვო წარმოდგენა — დღის 12 საათზე და 3 საათზე. საღამოს წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სახცირკოს სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ინდივიდუალურ მსესხებელთა საყურადღებოდ

მოქალაქენი, რომლებმაც სესხი მიიღეს ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობისა ან საკუთარი სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის ვალდებული იყვნენ ვადაგადაცილებული და IV კვარტალის მორიგი შემოსატანი თანხა დაეფარათ ა. წ. 15 ოქტომბრამდე.

სესხის ზოგიერთმა მიმღებმა არ უზრუნველყო ხსენებული დავალიანების დროზე დაფარვა.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი მოითხოვს სესხის მიმღებთაგან დაუყოვნებლივ შემოიტანონ დავალიანება, რომელიც მათზე ირიცხება. სესხის მიმღები, რომელიც არ უზრუნველყოფს აღნიშნული ვალის დაუყოვნებლივ დაფარვას, ჩაითვლება ურჩ გადამხდელად და ბანკი იძულებული იქნება მიიღოს მის მიმართ იძულებითი ზომები გადასახდევინებლად, გაორკეცებული პროცენტების დარიცხვით.

კომუნალური ბანკი აცნობებს სესხის მიმღებთ, რომ ვისაც საშუალება აქვთ საჭირველია შეძლების მიხედვით შემოიტანონ ბანკის სალაროში თანხები